# ფანკლუბი

№ 11, 17 აპრილი, ფ.50 თ.
გამოდის ყოველ ხუთშაბათს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეხვეი ნეკა სეზისკვერაძეს

## სიახლე

## უფასო მესიჯები

## საღ ცხოვრობს დათო ხუჯაძე

## რატომ გადმოაკეთა სტეფანემ "სახეს სიმღერა"

## კითხულობს თუ არა ლელა წურწუმია ფანების წერილებს

# ჯენიფერ ლოპესი და რიკი მარტინი

# კითხვა-პასუხი

**ვ**ყავს თუ არა და ან ძმა ზურასა და პაატას?

ძეთი, 14 წლის

– ზურა დედისერთაა, პაატას ორი ძმა ჰყავს.

**ს**ად არის ამჟამად თემურ რცხილაძე?

გიო, 16 წლის

– თემო რამდენიმე დღეა რაც ჩამოვიდა მოსკოვიდან და იგი სასიმღერო კარიერაში ჩაება.

**რ**ა ჰქვიათ დათო ხუჯაძის მშობლებს?

დათო: – თემური და მეგი.

**რ**ა ფირმის ტელეფონი აქვს ქეთა თოფურიას?



– ქეთას LG-ის ფირმის ტელეფონი აქვს, რომელიც ზურა ხაჩიძემ აჩუქა დაბადების დღეზე.

**მ**აინტერესებს გიგა კვინეტაძის ზედმეტსახელი.

ლიკა, 14 წლის

– გიგას ზედმეტსახელი არა აქვს.

**რ**ოდის გამოვა ლელას ალბომი?

– ლელა სწორედ ალბომზე მუშაობს ამჟამად, იგი სავარაუდოდ გაზაფხულის მიწურულს გამოვა.


გაზეთი "ფან-კლუბი" ჟურნალ "ოსკარის" დამატებაა.
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
ჟურნალში მოყვანილი ჭორებისა და კულუარული ინფორმაციის შესახებ რედაქცია პასუხს არ აგებს.

მთ. რედაქტორი: ნოდარ მელაძე.
რედაქტორის მოადგილე: თამუნა გონგაძე.
ჟურნალისტები: ნინო კუტალაძე, თამთა მჭედლიშვილი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვის შემთხვევაში „ფან-კლუბის" მოხსენიებაა აუცილებელია.


## მესიჯები "ფან-კლუბში"

გაზეთი "ფან-კლუბი" გაძლევთ საშუალებას მომავალი ნომრიდან უფასოდ "ემესიჯოთ" თქვენგს საყვარელ ადამიანს. ამისათვის ქვემოთ მოცემულ ბლანკში ჩაწერეთ ის ტექსტი, რომლის გამოქვეყნებაც გსურთ და გამოგზავნეთ ჩვენს რედაქციაში. მისამართი: კოსტავას 14, მე-2 სართული.

"ფან-კლუბი" №11

## ჭრელა-ჭრელა ამბები

### ერთგული გიგლიოთეკა

თურმე ნანიკო ხაზარაძე უზომო რაოდენობით ყიდულობს საათებსა და ჯინსებს. „მაქვს ასეთი „ნიკი" - ერთი და იმავე მოდელის საათს რამდენიმეს ვიძენ. არ ვიცი, რატომ ვყიდულობ ერთსა და იმავე მოდელს. ეს ჩვეად გადამექცა. ასევე, მაქვს ერთი და იმავე მოდელის ჯინსები. როცა ფული მაქვს, შემიძლია ერთი და იგივე რამე, რაც მომეწონება განუზომელი რაოდენობით ვიყიდო" – აცხადებს ნანიკო.

აი, ასეთი უცნაურობები სჩვევიათ ხოლმე პოპულარულ ადამიანებს.

უბედნიერესი წუთები ცისანა სეფიაშვილის ცხოვრებაში შვილების დაბადება ყოფილა, ეს არის ის წუთები, რომელიც არასოდეს ავიწყდება. „მიკვირს იმ ქალების, ვინც შეგნებულად მიდის საკეისროზე. არ არსებობს ამაზე მეტი ბედნიერება, უყურო როგორ ხდები დედა და არა, დაიძინო, გაიღვიძო და დედა გახდე. უბედნიერესი წუთებია. ბავშვმა რომ პირველად იტირა, მეც ბედნიერების ცრემლებით ვტიროდი" – ამბობს ცისანა.

თურმე „მამულიჩა" არასოდეს ღნიშნავს საკუთარ დაბადების დღეს. ვინაიდან და რადგანაც, მას იმდენი ახლობელი და მეგობარი ჰყოლია, ყველა რომ დავპატიჟო სახლში როგორ უნდა დავატიოო. აქედან გამომდინარე, „მამულიჩა" საკმაოდ ჩვეულებრივად ხვდება ამ დღეს.

## ჭრელა-ჭრელა ამბები

ჯგუფ „სეიშენის“ დებიუტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ვალენტინობის დღეს, 14 თებერვალს შემდგარა. ბიჭებმა ამ კონცერტზე შეასრულეს დუეტი „ზღაპარი სიყვარულისა“, რამაც დებიუტისთვის დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. განსაკუთრებულად ეს დუეტი „ივერიის“ წევრებს მოწონებიათ, რის გამოც „სეიშენის“ ბიჭები ძალიან თბილი სიტყვებით დაუსაჩუქრებიათ, რამაც ისინი მუშაობის ხალისზე მოიყვანა.

თათა ვარდანაშვილს არ ჰყვარებია შავი ფერი, რადგან მასში მწუხარების, დარდისა და სევდის განცდას იწვევს.

„ბუნებით ძალიან მგრძნობიარე ადამიანი ვარ და ამიტომ სამყაროში არსებული ფერები ჩემზე ძალიან მოქმედებს. შავ ფერს რომ ვხედავ, ცუდ ხასიათზე ვდგები. მე მხატვარი ვარ და როდესაც პალიტრას ვამზადებდი სამუშაოდ, შავი ფერი, როგორც პიგმენტი, არასდროს მქონია. მას ვილებდი რამდენიმე მუქი ფერის შერევით“ – ამბობს თათა.

ანი მაღლაკელიძეს ძალიან ჰყვარებია სურათების გადაღება და ფოტოობიექტივის წინ პოზირება. „თავს არ ვიქებ, მაგრამ ფოტოგენური ვარ და ფოტოზე ბევრად უკეთესად გამოვდივარ, ვიდრე სინამდვილეში ვარ. იმდენად სხვანაირად გამოვიყურები, რომ მეკითხებიან, ეს შენ ხარო?“ – ამბობს ანი.

## მერაბ სეფაშვილს



მოგესალმები „ოსკარელებო“ და „ფან-კლუბელებო“, თქვენ ვერც წამროიდგენთ ისეთი ლამაზები ხართ, ისე ძალიან მიყვარხართ... მე მინდა დიდი წარმატებები ვუსურვო თქვენს ჟურნალს, ასევე „ფან-კლუბსაც“... თუმცა, მგონია, რომ ჩემი თქმა და აღნიშვნა არ სჭირდება იმას, თუ როგორ უყვარხართ ყველას, თუ როგორ ელოდებიან თქვენი ყოველი ნომრის გამოსვლას და თუ როგორ აფასებენ თქვენს ნიჭს... მიყვარხართ და ვისურვებდი, რომ ყოველთვის ასეთი სავსე ყოფილიყავით საინტერესო იდეებით... გთხოვთ, გამომიქვეყნოთ ჩემი წერილი, ძალიან მინდა ამ წერილით თავს უფლება მივცე და მივესალმო ყველა დროის საუკეთესო, ყველასათვის საყვარელ მომღერალს – მერაბ სეფაშვილს. ძალიან გთხოვთ, ბატონო მერაბ, თავხედობაში ნუ ჩამომართმევთ, რომ გავბედე თქვენთვის წერილის მოწერა... არც კი ვიცი რა უნდა გითხრათ, არ არსებობს სიტყვები, რომელიც ისეთ „ბუმბერაზ“ ადამიანს შეამკობს, როგორიც თქვენ ხართ... თქვენს გარეშე არ არსებობს ქართული ესტრადა-და, უბრალოდ, არ შემიძლია წარმოვიდგინო, როგორი იქნებოდა „ქართული სცენა“ და საერთოდ, ქართული „შოუ-ბიზნესი“ თქვენი მომაჯადოვებელი ხმის გარეშე... თქვენს სიმღერას სხვა ხიბლი აქვს, სხვა ძალა აქვს, სხვა ბრწყინვალება და სილამაზე... იცოცხლე დიდხანს და უფალი იყოს თქვენი და თქვენი მშვენიერი ოჯახის მფარველი!

უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით, თქვენი ხმით მოჯადოვებული, თაყვანისმცემელი.

**თეო, 18 წლის**

## თიკა ფაცაციას

გამარჯობა „ფან-კლუბელებო“, ძალიან გთხოვთ გამოაქვეყნოთ ჩემი პატარა წერილი. ძალიან ბევრჯერ მოგწერეთ, მაგრამ ამაოდ, იქნებ ახლა მაინც გამომიქვეყნოთ.

თიკა, მე შენ ძალიან მიყვარხარ. ძალიან კარგი და საყვარელი გოგო ხარ.

ძალიან გთხოვ გამოაქვეყნოთ. წინასწარ დიდი მადლობა.

**შენი ფანი თიკა, 13 წლის**

## „ქუჩის ბიჭები“

გამარჯობა „ფან-კლუბელებო“, მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმ შეხვედრისთვის, რომელიც ზურასა და პაატასთან მოაწყვეთ.

[illegible], დიდი მადლობა უფალს ასეთი კარგები, რომ ხართ. სწორედ იმიტომ გამოგდით ყველაფერი კარგად რომ გულის რწმენით აკეთებთ. თქვენ ღირსეულად დგახართ სცენაზე.

ძალიან მაინტერესებს, სად შეიძლება ირაკლის და გურამის გაცნობა? (გთხოვთ ირაკლიმ მიპასუხოს).

იკა, მე ის გოგო ვარ „ერთი ქუჩის ამბავზე“ ყვავილი, რომ გაჩუქე. მაინტერესებს, რატომ აღარ ჩანხარ ხშირად?

ძალიან მიყვარხართ ბიჭებო!

**თქვენი ერთგული ფანი მარიკა.**

## წერილი უქვირფასეს და უმშვენიერეს ლელას

გამარჯობა „ფან-კლუბელებო“, ძალიან მიყვარხართ და გთხოვთ გამომიქვეყნოთ ჩემი პირველი წერილი, წინასწარ დიდი მადლობა.

ძალიან მინდა მოვეფერო და მოვესიყვარულო ჩემს სიმპათიას – ლელა წურწუმიას. ძალიან მიყვარხარ ლელა, შენ საოცრება ხარ... შენი ხმის გაგონება ძალიან მამშვიდებს... ესტრადის მშვენება ხარ. მინდა გისურვო ბედნიერება და ულევი სიხარული შენს ლამაზ ოჯახთან ერთად, დიდხანს იცოცხლე და დიდხანს დაამშვენე ქართული ესტრადა... იყავი მუდამ ასეთი ლამაზი, როგორიც ახლა ხარ. გფარავდეს ღმერთი.

**დიდი სიყვარულით ლელას ერთგული ფანი ცისმარი ქიტესაშვილი,**
11 წლის.

# მუსიკალური ვიქტორინა

მათ, ვისაც ინტუიცია არ ღალატობს, ან შეუძლია ნოტების საშუალებით სიმღერის აწყობა, გაზეთი “ფან-კლუბი“ აძლევს საშუალებას გაერთოს და ამასთანავე პრიზებიც მოიგოს. მოცემული ხუთი სიმღერიდან თქვენ უნდა გამოიცნოთ: პლაკატების ნაკრების მოსაგებად — სამი მათგანი, კალმისტრის მოსაგებად — ოთხი, ხოლო სუვენირის მოსაგებად — ხუთი სიმღერა. თქვენი პასუხები უნდა ჩაწეროთ ქვემოთ მოცემულ ბლანკში და გამოგზავნოთ მისამართზე: კოსტავას 14.

1. სიმღერა წვიმაზე და ერთ-ერთ სიყვარულის ამბავზე.



2. სიმღერა განშორებაზე, რომელმაც სინათლე და ოცნების სხივი წაიღო.



3. სიმღერა წვიმაზე, რომელმაც მთელი მინდორი დანამა.



4. სიმღერა მგოსნების სამეფო ქალაქზე.



5. სიმღერა გზააბნეულ სიყვარულზე.



მუსიკალური ვიქტორინა №7.

1 ____________________

2 ____________________

3 ____________________

4 ____________________

5 ____________________

გვარი, სახელი, ტელეფონის ნომერი

____________________

## წერილი ძალიან მომხიბვლელ დეიდა ვასასის

გამარჯობა, „ფან-კლუბელებო“, მე ისევ თქვენი ერთგული მკითხველი ნინო ვარ. თქვენს ქებას არ დავიწყებ, რადგან მართლაც არაჩვეულებრივები ხართ. ახლა კი ჩემს საყვარელ „ჭორიკანას“ – დეიდა ვასასის მივმართავ.

გამარჯობა ჩემო მომხიბვლელო დეიდავ, მე ვარ შენი „ჭორების“ ერთგული მკითხველი, ძალიან მომწონხარ და მიყვარხარ. მომწონს შენი სათვალე და თმის ვარცხნილობა, შენ რომ არ გვყავდე როგორ გავიგებდით თანამედროვე „თინეიჯერობა“ ამდენ საინტერესო ამბებს?! ჩემო მშვენიერო, პირდაპირ შოუ-ბიზნესის ამბების მოამბე ხარ. ისე და, რას არ იგებენ შენი ყურები არა? ნენა, ნენა? ჩემო კარგო, ერთი სიტყვით მიყვარხართ, ძალიან, ძალიან. ახლა დაგემშვიდობები და შენს, შემდეგ, ცხელ ამბებს წავიკითხავ.

დიდი მადლობა „ფან-კლუბელებს“ რომ ჰყავს დეიდა ვასასი.

**ნინო ყაველაშვილი**

## “დუტას”!

მივესალმები „ფან-კლუბს“, დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ იმისთვის, რომ არსებობს ასეთი კარგი გაზეთი და სწორედ თქვენი გაზეთის საუშალებით წერილი მინდა მივწერო ჩემს საყვარელ მსახიობს დუტა სხირტლაძეს. “დუტა”, შენ ჩემი უსაყვარლესი მსახიობი ხარ, რომელსაც დიდ პატივს ვცემ. ძალიან მიხარია, რომ გიცნობ. დიდად მადლობელი ვარ გაზეთ „ფან-კლუბის“, რომ მაძლევს იმის საშუალებას რომ დაგისვა კითხვები და შენ მიპასუხო. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია დავესწრო ჩემი საყვარელი გადაცემის „ვის უნდა ოცი ათასის“ ჩაწერას. "დუტა" მინდა იყო ბედნიერი შენ ოჯახთან ერთად.

პატივისცემით და დიდი სიყვარულით

**რუსიკო ელისაშვილი, 15 წლის**

*(სტილი დაცულია)*

## ჭორულა-ჭორულა ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამთა ჭელიძეს სიბნელის შიში ჰქონია. ბავშვობაში ბავშვებს ნიღბით შეუშინებიათ, რამაც თამთა შოკში ჩააგდო, სხვას რომ თავი დავანებოთ, კინაღამ ენაც ჩაუვარდა. ერთი პერიოდი იგი შუქანთებულ ოთახში იძინებდა და როცა ჩაიძინებდა მხოლოდ მაშინ უქრობდნენ შუქს. იქედან მოყოლებული თამთა ბნელ ოთახში ვერ ჩერდება, რადგან არასასიამოვნო გრძნობა ეუფლება. გარდა ამისა, მას სიმაღლისა და ტარაკანის შიში აქვს.

ქეთა თოფურია ისეთი ეჭვიანი ყოფილა, რომ არის თუ არა საეჭვიანო ყველაფერზე ეჭვიანობს თურმე. „რომ ვიცი და დარწმუნებული რომ ვარ, არ არის საეჭვიანო, მაინც ვეჭვიანობ, განსაკუთრებით მეგობრებზე. სულ მგონია, რომ უჩემოდ სადმე მიდიან. საერთოდ, ყველანაირ ურთიერთობაში ვარ ეჭვიანი. შეიძლება დედისერთებისთვის ჩვეული ეგოიზმიდან გამომდინარე იყოს ეს გრძნობა, არ ვიცი, ერთი კი ფაქტია, ძალიან ცუდი რამ არის“ – ამბობს ქეთა.

ლალი ტოტიკაშვილი ძალიან დამჯერი ბავშვი ყოფილა, არასოდეს არაფერს აფუჭებდა, არ იყო მავნე. დაახლოებით ხუთი წლის იქნებოდა გაპრანჭვა რომ დაიწყო და ტანსაცმელს დღეში ხუთჯერ იცვლიდა. ჩაიცმევდა რალაცას, მერე ისევ მალე მობეზრდებოდა, გამოიცვლიდა გავიდოდა ეზოში, მერე ისევ შემოვიდოდა გამოიცვლიდა და ასე გრძელდებოდა დღის ბოლომდე.

# რაზე ესაუბრა ნინი – „ჯუჯღუნ-პეტროვნა“ თავის ფანებს კლუბ „ნეოში“?!



7 აპრილს (ხარების ბრწყინვალე დღესასწაულს) კლუბ „ნეო“, როგორც (უკვე) წესი, გაზეთ „ფან-კლუბის“ ერთგულ გულშემატკივრებს საშუალება ჰქონდათ შეხვედროდნენ თავიანთ საყვარელ პატარა მომღერალს – ნინი ქარსელაძეს. კლუბი, ჩვეულმა ფუსფუსმა, კიდევ ერთხელ მოიცვა. ფანები ელოდნენ ფერიას გამოჩენას, ფერიამაც არ დააყოვნა და დედიკოსთან ერთად შემოანათა. ნინი, თავისი შავი ლაბადით, კლიპიდან გადმოსულს ჰგავდა. იგი ზომიერად უშუალო და გახსნილი იყო, შედეგმაც არ დააყოვნა, ფანები ნელ-ნელა შევიდნენ აზარტში და უფრო და უფრო ხალისიან შეკითხვებს სვამდნენ. ჩემის მხრით, ის შემიძლია დავამატო, რომ ნინი გაიზარდა. ისეთი არტისტული გამომეტყველებითა და ჟესტიკულაციით პასუხობდა, რომ აშკარაა გაიზარდა. მაშ ასე, კითხვების კორიანტელს შემდეგნაირად უმკლავდებოდა პატარა ნინი.

***– ნინი, რომელ უცხოელ მომღერალთან ისურვებდი დუეტის ჩაწერას?***

– ძალიან ბევრი საყვარელი მომღერალი მყავს, მიჭირს ამორჩევა... ალბათ, მაინც ვიტნი ჰიუსტონთან, ჯგუფს რაც შეეხება, ავირჩევდი ქართულ, ძალიან პოპულარულ და ჩემ-

თვის საყვარელ ჯგუფს – „ქუჩის ბიჭებს“...

***– უცხოური ჯგუფებიდან?***

– მიჭირს ამორჩევა.

***– ნინი, თავისუფალ დროს რას აკეთებ?***

– ვთამაშობ და ვცდილობ, მაქსიმალურად გავერთო, რადგანაც საკმაოდ დატვირთული რეჟიმით ვცხოვრობ.

***– რამდენი წლის იყავი პირველად სცენაზე რომ დადექი?***

– ვიყავი 3 წლის და ვიმღერე სტინგის ფრანგული სიმღერა.

***– რას გეგმავ სამომავლოდ?***

– უნდა ჩავწერო სოლო სიმღერები და გამოვუშვა ალბომი.

***– ნინი, შენი მეგობარი თიკა ჯამბურიაა, აპირებ თუ არა მასთან ერთად დუეტის ჩაწერას?***

– ჯერჯერობით არ დავაკონკრეტებ ამ საკითხს, გეგმაში არის.



***– შენი ჰობი...***

– ბევრი ჰობი მაქვს, ერთ-ერთი მათგანია თიხისგან ფიგურების გაკეთება.

***– გიყვარს თუ არა კითხვა და ძირითადად, რას კითხულობ?***

– მიყვარს კითხვა და ვკითხულობ სასაცილო-სათავგადასავლო წიგნებს, ძალიან მიყვარს „პეპი“.

***– ნინი, თიკა სახლში „ლელაობანას“ თამაშობს, შენ?***

– მე „არავისობანას“ არ ვთამაშობ (იცინის).

***– შენი საყვარელი ზღაპარი და ზღაპრის გმირი...***

– ძალიან მიყვარს „წითელქუდა“ – ზღაპარიც და გმირიც.

***– ნინის მეტსახელი?!***

– „ჯუჯღუნ-პეტროვნას“ მეძახიან, იმიტომ, რომ ყველა-



ფერზე ვჯუჯღუნებ (იცინის).

***– ვინ დაგარქვა?***

– ოჯახმა.

***– როგორი დამოკიდებულება გაქვს ფანებთან?***

– ძალიან კარგი, მიყვარს ყველა ის ადამიანი, ვისაც ვუყვარვარ.

***– ვის ბაძავ?***

– ჯერჯერობით არავის, ყოველ შემთხვევაში, არ მინდა, რომ მივბაძო.

***– ნინი, ყველაზე მეტად როდის დაგეხმარა უფალი, როგორ თვლი?***

– მაშინ, როდესაც მომღერალი გავხდი და ამდენი ადამიანის სიყვარული დავიმსახურე.

***– რამდენი წლის იყავი, როდესაც „ქუჩის ბიჭებთან“ დუეტი ჩაწერე?***

– 9 წლის ვიყავი.

***– აპირებ თუ არა ისევ მათთან დუეტის ჩაწერას?***

– არ ვიცი, ვნახოთ...

***– როდესაც გირეკავს ბიჭი თაყვანისმცემელი, რას გეუბნება გოგოებისგან განსხვავებულს?***

– ისეთ განსხვავებულს არაფერს.

***– ვისი იდეა იყო, შენს კლიპში "დუტას" რომ მიეღო მონაწილეობა?***

– ეს იყო კლიპის რეჟისორის – გოგა ჭყონიას იდეა.

***– ნინი, როგორ ფიქრობ, იქნებოდი თუ არა ისეთი პოპულარული, როგორიც დღეს ხარ, რომ არა დუეტი „ნინი და „ქუჩის ბიჭები“?***

– ალბათ, არა, რომ არა ეს დუეტი და „ქუჩის ბიჭები“, მე მარტო ვერ დავიმსახურებდი ამდენი ადამიანის სიყვარულს და შესაბამისად, პოპულარობას. მე ასე ვფიქრობ.

***– ნინი, შენ მიდიხარ ლონდონში, კონკრეტულად როდის და გიხარია თუ არა?***

– ეს ჯერჯერობით გეგმაშია, შემოთავაზების მიხედვით, პროექტი ითვალისწინებს 5-6 წლით იქ დარჩენას, მე კი არ მინდა. ვიცი, რომ საშინლად მომენატრება აქაურობა. ინგლისში რომ ვიყავით და დედამ ორ კვირიანი ვიზა აიღო, ვეუბნებოდი, სამ თვიანი რატომ არ აიღე-მეთქი, მაგრამ ამ ორ კვირაში ისე მომენატრა თბილისი, რომ გავგიჟდი. თანაც „ქუჩის ბიჭების“ კონცერტი იყო აქ და ვტიროდი ტელეფონზე, მეც მინდა თქვენთან-მეთქი.

***– ყველაზე მეტად ლონდონიდან და პარიზიდან რა დაგამახსოვრდა?***

– პარიზში ყველაზე შთამბეჭდავი ჩემთვის იყო ეიფელის კოშკი, ლონდონში კი „მადამ ნიუსოს“ ცვილის ფიგურები, რამაც გამაოგნა, რადგანაც პირველად ცოცხლები მეგონა. ვფიქრობდი, ლედი დიანა და პიკასო ხომ გარდაცვლილები არიან-მეთქი...




*– რა ცხოველი გიყვარს და გყავს თუ არა სახლში რაიმე ცხოველი?*

– მიყვარს ძაღლი და მყავს კიდეც „კოკი“. ასევე ძალიან მიყვარს ლეოპარდი, რადგანაც, როდესაც ბიძაშვილებთან ვარ, იქ ლეოპარდის სანოლში მძინავს.

*– ასეირნებ „კოკის“?*

– არა, ვერ ვასეირნებ.

*– ნინი, ვინ ზრუნავს შენს ჩაცმულობაზე?*

– დედიკო.

*– დიზაინერს როდის მიმართავ?*

– მაშინ, როდესაც გამოუვალი სიტუაციაა მივმართავთ ავთო ცქვიტინიძეს და

ბაკურ ბაკურაძეს.

*– მომავალში თუ აპირებ სიმღერას?*

– არ ვიცი, ჯერჯერობით სიმღერა მთელი ჩემი ცხოვრებაა და ვნახოთ.

*– ნინი, ფეხბურთი თუ გიყვარს ბიძიდან გამომდინარე?*

– კი, ძალიან მიყვარს და ყოველთვის ვუყურებ, ჩემს ბიძაშვილებთან ერთად ვზივარ და მივყვები ამ ტრადიციას.

*– რისი გეშინია?*

– სიბნელის.

*– სკოლაში რომელ საგანს სწავლობ ყველაზე კარგად?*

– მიუხედავად იმისა, რომ ქიმია არ მიყვარს, რატომღაც მაინც კარგად ვსწავლობ. საერთოდ, თითქმის ყველა საგანს კარგად ვსწავლობ...

*– შენი საყვარელი გადაცემა...*

– „თინეიჯერი“ და „მაესტროს“ გადაცემები.

*– რაზე ჩხუბობ დედასთან?*

– თითქმის ყველაფერზე, რაც მას მოსწონს, მე არ მომწონს და ჯინში ვუდგავარ, თუმცა აზრი არა აქვს, არ გამდის.

*– საჭმელი...*

– საჭმელი, მართალი გითხრათ, არ მიყვარს, „მაკდონალდსის“ საკვები მომწონს.

*– გადაიღებ თუ არა კლიპს „ჭიამაიაზე“?*

– „ჭიამაიაზე“ საკონცერტო ვერსიაა გადაღებული, რომელიც ტრიალებს, ასე რომ, მასზე კლიპს აღარ გადავიღებ.

*– როდის გამოვა შენი ალბომი?*

– მინდოდა დაბადების დღისთვის დამემთხვია, მაგრამ სნავლის გამო ვერ

მოვახერხე, ამიტომაც გადაინია ზაფხულისთვის.

*– რაზე ოცნებობ?*

– ოცნებობ, ლამაზ ბლოკნოტებზე, ჩანთებზე, ბეჭდებზე, სამკაულებზე...

*– გაქვს თუ არა სურვილი გყავდეს და ან ძმა?*

– ძალიან მინდა მყავდეს და, რადგანაც დიდი სურვილი მაქვს ვინმეს და ჩემი გემოვნებით გავუკეთო ვარცხნილობა. დედას არ მოსწონს ჩემი გაკეთებული ვარცხნილობა, არც ძიძა იხიბლება მაინცდამაინც, ასე რომ, მინდა ვინმე ისეთი, ვისაც ჩემს ჭკუაზე დავვარცხნი, ანუ და.

*– რომელ ეკლესიაში დადიხარ და გყავს თუ არა მოძღვარი?*

– დავდივარ სიონში და მყავს მოძღვარი მამა დავითი.

*– რა საჩუქარი გაგახარებდა დაბადების დღეზე?*



– მრცხვენია, მაგრამ გეტყვით, რომ ბეჭედი. ამაზე ყველა დამცინის.

*– ხშირად რას გჩუქნიან ფანები?*

– უამრავ წერილს...

*– შენი საყვარელი ჟურნალი...*

– ჟურნალი „ოსკარი“.

*– აპირებ თუ არა მერაბ სეფაშვილთან დუეტის ჩაწერას?*

– არა, არ ვაპირებ, იმიტომ, რომ მერაბთან დუეტის ჩასანერად მზად უნდა იყოს ადამიანი, იგი პროფესიონალია და ყველაზე კარგი მომღერალია, მინდა არავის ეწყინოს, მაგრამ ასეა. სანამ ისეთი მომღერალი არ გავხდები, რომ მასთან დუეტის ჩაწერა დავიმსახურო, მანამ არ ჩავიწერ.

*– გიყვარს თუ არა 'იმღერის ჩაწერის პროცესი?*

– ძალაუნებურად მიყვარს, რადგანაც ამ პროცესის გარეშე არაფერი გამოვა, თუმცა ძალიან მეზარება ორი საათი იქ დგომა.

დასასრულს ხათუნა ჟორდანიამ (ნინის დედამ) ნინის ფანებს მიმართა:

– მოდით, შევთანხმდეთ ერთ კონკრეტულ დღეზე და საათზე, რომ ნინის შეეძლოს თქვენთვის ტელეფონით დაკონტაქტება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ტელეფონთან ვერ მოვა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დაკავებულია მეცადინეობით. თქვენ არ იცით, რა მოსაბეზრებელი და აუტანელია ჩვენს სახლში გაჩერება, ტელეფონი გაუჩერებლად რეკავს, უკვე ყველას ეზარება მისი აღება, იმიტომ, რომ ერთსა და იგივე ადამიანს ეძახიან და ეს არის მხოლოდ ნინი. იგი 4-მდე სკოლაშია, მერე მასნავლებლებთან დადის, 7-ზე რომ ბრუნდება, უნდა იმეცადინოს, იმიტომ, რომ ათზე, როგორც წესი, უნდა დაიძინოს. 7-დან 10-მდე რომ ნინიმ ყველა ზარს უპასუხოს, დარჩება უსწავლელი, ეს კი არავის არგებს. ეს არ უნდა იყოს თქვენთვის საწყენი, მას მართლა არ სცალია.

**P.S.** ასე რომ, გათივალისწინეთ და ნუ შეაწუხებთ, ჩვენ („ფან-კლუბი“) რისთვის ვარსებობთ?

**თამუნა გონგაძე**

# რაფერ მოკალით თქვენ?!

– თქვენ კი დაგენაცვლოს დეიდა ვასასი! რავა დავბერდები თქვენს ხელში, რა გამიჭაღარავებს დალალებს ("შვარცკოფის" საღებავით ვიღებავ და), რაღა მომკლავს?! აფერი, ჩემი მომრევი და მომნელებელი აფერია ამ დუნიაზე. რაცხა იმის არ იყოს, დავჩაჩანაკებთ ამ უნიათ ქვეყანაზე, ძლივსღა გვიდგას პირში სული და კიდო ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში უნდა გავატაროთ? ღმერთო კი მომკალი, რად მინდა თავი ცოცხალი, თუკი ჩემი ქართველი არ მეყოლა კარგად! ახლა ქე ვხვდები, თქვენ ჩემი ბუუტური, კაპიკადაც რომ არ გაინტერესებთ, მარა, არც უამისობა შეიძლება. მეც ხომ შემიძლია ჩემი სიტყვის ხმამაღლა თქმა?! აბა, გევედით ახლა ფონს!

– თურმე ისრაელში ყოფნისას, ჩვენს ნეკუშას, სასტუმროში ერთი ესპანელი ყმაწვილი გოუცვნია. კონტაქტურმა მომღერალმა უცებ რომ გამონახა საერთო ენა იმ ტორეროსთან, გაარკვია, რომ ისიც მასავით რა ჰქვია იმას? ჰო, კომუნიკაბელური ყოფილა. ერთ დღესაც ბაღნებმა გადაწყვიტეს ფეხბურთის მმატჩის ყურება. ჩვენი ჭუკები ჰოლში რომ ჩევიდენ, აღმოაჩინეს, რომ იქ ტელევიზორი არ იდგა. ამ ჩვენს ესპანელ ჯეელს უთქვამს, რომ მე ნომერში არ მაქვს ტელევიზორიო და დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ნეკას ნომერში აღმოჩენილა. არ იცით, ნეკას რა უთქვამს? მე შენ ევროპელი უსირცხვილო ხომ არ გგონივარო? მე თბილისელი გოგონა ვარ და შუალამეზე ვერ შეგიყვან ჩემს ნომერშიო. მარა, იმ ძუნკალს მაინც შოუყვია ცხვირი ნეკასთან, იქ კი ნუგზარ ერგემლიძეც ყოფილა. ჰოდა, ნეკას და ნუგზარს გოუშვია თბილისური „ბაზარი" და ეს ესპანელი „დოუქლიავებიათ". ე, ბიჭო, ან ინგლისურად ილაპარაკეთ, ან მმატჩი მაყურებინეთო. მოკლედ, ესპანელი გახარებული გამევიდა, ბრაზილიელებს გოუმარჯვიათ და კილამ მეთერთმეტე სართულიდან უსკუპია. მერე, ხომ გაგიგიათ, მადა ჭამაში მოდისო, მეორე დღეს "გრემის" ცერემონიალის ყურება არ მოუნდა? ნეკა ახლა მაგის ჩიტი იყო, მეორე საღამოს ესპანელთან ერთად ტელევიზორთან გეეტარებინა?! აბა, ადიოსო, უთხრა და კარი მიუხურა. არა ბიჭო, იმ შავ ესპანელს ეგონა, ფესვს მევიდგამო, მარა ვერ მიართვეს.

* * *

– იმ შხვანთალა გოგოს ვენაცვალე, იმ გემრიელს და ლამაზს. ლალი ტოტიკაშვილს ვგულისხმობ... ამ ჩემს თვალხატულა გოგოს, თურმე ძალზედ ჰყვარებია კარგად ჩაცმა, ჰოდა, მე შენ

გეტყვი, ქუჩაში ვერ შეამჩნევ თუ? მოდის და მიაქვს ქუჩა. ერთი არამკითხე ბიჭი ჰყოლია გადაკიდებული, სადაც მიდის ლალი, თან დასდევს აჩრდილივით, ხან მანქანით, ხან ფეხით, არ აშორებს თვალს. მოდელი ისთე ღიზიანდება ამ თვალთვალით, რომ ბევრჯერ განანყენებულს მოუხმია თავისთან საჩხუბრად, მაგრამ ბიჭი არ მიჰკარებია. კაცია ახლა მაგი? თუ დასდევს ვერ მიუახლოვდა? მარა აფერისტია, ალბათ, ვილაცაა, ან ისე უყვარს ლალი, ვერც ბედავს მიახლოვებას. რას გოუგებ.

* * *

– უიმე, პატარა მარიკუნას შემეეევლე. რა მყავს ეგ მარგალიტი, რა სიხარულია! ისეთი სასაცილო ყოფილა სახლში, რომ თვალს ვერ მოსწყვეტ. ჰყვარებია დედის საძინებელში შესვლა და სარკეების წინ ტრიალი. აკვირდება თავის თავს და ეპრანჭება თურმე. მერე გამოკუსკუსდება და ბოტასებში დაპაკუნობს. ახლა საჭმელი... თუ სიმღერა არ ჩოურთე, ტირილით გასკდება და მანამ არ შეჭამს, სანამ მუსიკას არ გეიგონებს. მერე ფაფები რაფერ

უყვარს! მარა შერეული სახის კი არა, ერთგვაროვანი. მოკლედ, რაფერც ლელა ამბობს, კაი გოგოა მარიკო!

* * *

– ნანიკო ხაზარაძემ „მაესტროს" ულალატა და „რუსთავი 2"-ზე გადევიდა. მას ჯვარი უნ-

და დეეწერა თავის ქმართან, ლევანიკოსთან, მარა იგი ჯერ არ ჩამოსულა მოსკოვიდან. მის მოლოდინში რა უნდა ექნა გოგოს?! ადგა და მუშაობა დაიწყო, უკეთესს რას იზამდა?! მისი სული და შიშხათი ქე შეაქვს „დილის კურიერში". ისე, რას არ ვიფიქრებდი, მარა ნანიკოს თუ „რუსთავი 2"-ზე ვნახავდი, არ მეგონა.

* * *

– იმ ჩემმა ლამაზმა და ჭკვიანმა ლაშა კუკულაძემ არ თქვა, მარა ვგრძნობ, რომ ერთი სერიოზული წინადადება შესთავაზეს. მართალიცაა რომ არ იძახის, როცა ყველაფერი კარგად ჩამთავრდება, იტყვის მერე. აბა, რა საჭიროა ჯერ იყვირო და მერე არ ასრულდეს. ღმერთმა მალე მანახოს კაი კომპანიაში განევრიანებული ლაშა.

* * *

– ნიკუშა ლომიძე და თეა გობეჯიშვილი დღის დატვირთული განრიგის გადამკიდე ვერ ნახულობენ ერთმანეთს მანამ, სანამ ერთი არ მოვა სამსახურიდან და არ შეისვენებს. ამ დროს ნიკა აკოცებს მძინარე თეას და ეს უკანასკნელიც ახელს თვალებს. როგორც თქვენმა ვასასიმ გეიგო, წყვი-

ლი ამჟამად თეასთან ცხოვრობს. დიდი ნიკა ძალიან ჰყვარებია თეას შვილს – ნიკას, ისინი ისე ძმაკაცობენ თურმე, რომ კაი ხნის მეგობრები გეგონებათო. რას გოუგებ ამ ქვეყანას ჩემო ოლღა, ხალხი ცხოვრობს ისთე, რავარც უნდა.

# კითხვა-პასუხი

## ქართული ბიბლიოთეკა

**რ**ა გვარია და რამდენი წლისაა „Blue“-ს ლი?



– ლი რაიანი არის 19 წლის.

**რ**ომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული ვიქტორია ბექჰემი?



– ვიკის ზოდიაქოს ნიშანია ვერძი.

**რ**ოდის აპირებს ლუ ბეგა ახალი ალბომის გამოშვებას?

სანდრო, 16 წლის

– ლუ ბეგას ახალი ალბომი, სავარაუდოდ, სექტემბრის თვეში გამოვა.

**რ**ა ასაკიდან დგას ნაომი კემპბელი პოდიუმზე?



– ნაომი პოდიუმზე 15 წლიდან დგას. იგი საკმაოდ ჩამოყალიბებული იყო ამ ასაკში და პატარაობიდანვე ოცნებობდა მოდელობაზე.

**რ**ას აკეთებს შერი თავისუფალ დროს?

გეგა, 17 წლის.

შერი: – „თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მაქვს, თუმცა როგორც კი მოვიცალი ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს ვნახულობ და მთელ დროს მათთან ერთად ვატარებ“.

**რ**ოდის იქორწინებენ ბენი და JLO?

– ზაფხულში.

**რ**ა ჰქვია „Smash“-ის შავთმიან წევრს?

– სერგეი.

**რ**ა სუნამოს ხმარობს ბრედ პიტი?



– ბრედ პიტი ხმარობს “შისეიდოს”

**რ**ა ჰქვია Snoop-ს სინამდვილეში?



– კელვინ გროდასი.

**რ**ა ფერის თმა აქვს ახლა ნატალია ორეიროს?

– წითელი.

**რ**ითი მოხიბლა JLO-მ ბენ აფლეკი?

კატო, 13 წლის



– როგორც ბენ აფლეკის ინტერვიუდან შევიტყვეთ, იგი მოხიბლული იქნა მომღერლის ვიზუალურობითა და შარმით. ბენის თქმით, JLO საკმაოდ აქტიური ქალია.

**რ**ოგორი გოგოები მოს წონს ანტონიო ბანდერასს?

ნათია, 15 წლის

– როგორც გავიგეთ, ანტონიო უპირატესობას ანიჭებს ქერათმიან, სქელტუჩება გოგონებს.

**რ**ომელ ქალაქში დაიბადა Pink-ი?



– დოილსტაუნში.

**ა**ტარებს თუ არა ჯვარს ემინემი და არის თუ არა იგი ჭეშმარიტი ქრისტიანი?

თაკო, 14 წლის.



– ემინემი კათოლიკურ ოჯახში გაიზარდა, ჯვარს იგი არ ატარებს.

**მ**აინტერესებს, რამდენი პარიკი აქვს შერის და რომელია მისი საყვარელი აქსესუარი?

ნიკა, 18 წლის

– შერის ოცამდე პარიკი აქვს, მისი საყვარელი აქსესუარია ბეჭედი.

**ვ**ინ არის შერის კუმირი?

– როგორც შერი ამბობს მას კუმირი არ ჰყავს.

# კითხვა-პასუხი

**სად ცხოვრობს კატო?**
თაკო, 15 წლის

კატო: – მე ვცხოვრობ მთაწმინდაზე.

**ზურას აკვიატებული ფრაზა...**
ია, 17 წლის

ზურა: – აკვიატებული ფრაზა არ მაქვს.

**ლელა, გადაიღებ თუ არა კლიპს რომელიმე სიმღერაზე?**
ლიკა, 14 წლის

ლელა: – ჯერჯერობით კლიპის გადაღებას არ ვაპირებ.

**როდის ელოდება შვილს სოსო თოლორაია?**
ნუცა, 16 წლის

– როგორც გავიგეთ, სოსო აპრილის შუა რიცხვებში ელოდება შვილს, თანაც ბიჭს.

**რა ასაკიდან მღერის ნეკა სებისკვერაძე?**
ეთო, 13 წლის

ნეკა: – მე ექვსი წლის ასაკიდან ვმღერი.

**ვაატა, თუ წაიკითხე წერილი 20 მარტს რომ მოგაწოდე?**



პაატა: – რა თქმა უნდა, დიდი მადლობა სიყვარულისთვის.

**სად შეიძლება თემურ თათარაშვილის გაცნობა?**
ნათია, 15 წლის

– თემურს შენ გაიცნობ იმ კონცერტებზე, სადაც იგი გამოდის.

**ყველაზე მეტად რაზე ოცნებობს ნინი ქარსელაძე?**
ლიკა, 14 წლის



ნინი: – ვოცნებობ ბეჭდებზე.

**სად არის ამჟამად გოგა ხაჩიძე? („ქუჩის ბიჭების")**
ელენა, 11 წლის.

– გოგა ლონდონიდან ჩამოვიდა და იგი ბორჯომშია.

**ზურა, „ფორტუნა+"-ის კონცერტზე წერილი რომ გადმოგეცი წაიკითხე?**
მარი, 14 წლის



ზურა: – რა თქმა უნდა, მე ყველა წერილს ვკითხულობ.

**როდის ჩაიწერს სიმღერას ნათია გოგიტიძე?**
თაკო

– როგორც ნათიამ ინტერვიუში აღნიშნა, იგი აპირებს რუსას სოლო სიმღერების ჩაწერას, მაგრამ კონკრეტულად როდის ეს უცნობია.

## ჭრელა-ჭრელა ამბები

თურმე დათო გომართელს თილისმის არ სჯერა და არც ჰქონია არასოდეს. მაგრამ, თუ მაინცდამაინც ჩააცივდებით, ამ კითხვით, იგი გეტყვით, რომ მისი თილისმა ღმერთია. ცრუმორწმუნე არაა, მაგრამ ყურადღებას აქცევს დადებულ ნივთებს, რომელთაც ადგილს არასოდეს უცვლის.



რომა რცხილაძისთვის იარაღი მისი სიმღერა და შემოქმედება ყოფილა. „ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. ავად თუ კარგად ჩემს კლავიშებს ველაპარაკები – ისინი მე არასოდეს მღალატობენ. ჩემს თავზე ვსაუბრობ, მზეს ვუყურებ, ვსუნთქავ. არანაირი უფლება არ მაქვს, ფარ-ხმალი დავყარო. სიცოცხლე შანსს გაძლევს, ყველაფერი კარგი გააკეთო და მეც ამით ვსარგებლობ" – ამბობს რომა.

ია ფარულავა ისეთი გულუბრყვილო ყოფილა, რომ დაუჯერებია თურმე ისეთი რამე, რისი დაჯერებაც არ შეიძლებოდა, ასევე ენდობა იმ ადამიანებს, ვისი ნდობაც წესით არ შეიძლება. „სადღაც ეს ცუდიც არის და კარგი თვისებაც იმიტომ, რომ, ეს სულს ახალგაზრდულს ინახავს, რაც შემდეგ სახეზე გამოიხატება".

# გასართობი გვერდი

## შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

**1** რომელი პერიოდია აღწერილი გურამიშვილის „ქართლის ჭირში“?

A) XVII საუკუნე
B) XIV საუკუნე
C) XIII საუკუნე
D) XVIII საუკუნე

**2** ქვემოთ ჩამოთვლილი წევრებიდან რომელი არ არის „BSB“-ში?

A) ნიკი
B) ლი
C) კევინი
D) ბრაიანი

**3** რომელ ბრძოლაში დაიღუპა სამასი არაგველი?

A) ბასიანის
B) დიდგორის
C) კრწანისის
D) შამქორის

**4** რა ერქვა თამარის მამიდას?

A) ნანა
B) ქეთევანი
C) მარიამი
D) რუსუდანი

**5** რა ფერია გიშერი?

A) შავი
B) ყავისფერი
C) წითელი
D) ლურჯი

**6** რისი ძალლმერთია დალი?

A) სიყვარულის
B) ნადირობის
C) ცეცხლის
D) მიწის

## ასოციაციობანა

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

## ჭრელა-ჭრელა ამბები



ჯასტინ ტიმბერლეიქი: – ჩემს ინტერვიუებში ყოველთვის გულახდილად ვსაუბრობ და არაფერს ვმალავ, მაგრამ, რატომღაც ყველას ჰგონია, რომ ვიტყუები. ასე რომ, ვაპირებ ტაქტიკა შევიცვალო – იქნებ, მაშინ მაინც დამიჯერონ...



P.Diddy გულახდილად აღიარებს, რომ ყველაზე მეტად ქალში მკერდი იზიდავს და როცა ქალს უყურებს, პირველად სწორედ ამ ადგილს აკვირდება. ისე, JLO-ს მაინცდამაინც დიდი მკერდი არასოდეს ჰქონია, მაგრამ ამის მიუხედავად მან რეპერს თავი მაინც შეაყვარა.



ქრეიგ დევიდს სკოლაში საკუთარი ბიზნესი ჰქონდა და მისი წყალობით, პატარა ფულსაც აკეთებდა. ეს ბიზნესი კი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი საღეჭ რეზინებს ყიდდა, თუმცა მისი ამ საქმიანობის შესახებ, ოჯახის წევრებმა არაფერი იცოდნენ.

პოპ ვარსკვლავ ქრისტინა აგილერას ბავშვობაში ერთ-ერთი სუპერმარკეტის პერსონალმა სულზე მოუსწრო, რადგან იმ მომენტში იგი ოთხ შეკვრა მარწყვის „ჰეჩენიას" იპარავდა. ასე რომ, როგორც ხედავთ, ქრისტინას ხანდახან ქურდობის მცდელობებიც ჰქონდა ხოლმე.

# ნიკოლი + რობი და მათი ფანები



რობი უილიამსი ძალიან უცნაური და არაორდინალური პიროვნებაა – ფანებიც შესაბამისი ჰყავს.

რობის მსგავსად, ისინიც ძალზედ ხშირად აწყობენ სკანდალებს და ხშირად თავიანთი კუმირის კონკურენტი შემსრულებლების თაყვანისმცემლებთან მოსდით ხოლმე კონფლიქტი.

გამოკითხვის შედეგად ისიც დადგინდა, რომ რობის ფანების 90%-ი მდედრობითი სქესის წარმომადგენელია და ისინი უილიამსს თავისი ოცნების მამაკაცად ასახელებენ.

თავად რობის თაყვანისმცემლებთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს. მათთან შეხვედრებს იგი საკმაოდ ხშირად აწყობს და მათთვის სიურპრიზების მოწყობაც ძალიან უყვარს.

ავტოგრაფების დარიგება რობის დიდად არ უყვარს, თუმცა ამის გაკეთება ძალიან ხშირად უხდება და ამასთან დაკავშირებით უკვე აღარც წუწუნებს ხოლმე.

რობი – „ჩემი ბევრი ფანი ჯერ კიდევ „Take That"-იდან მომყვება და მე მათი მართლაც ძალიან მადლიერი ვარ, რადგან ისინი ბოლომდე ჩემი ერთგულები დარჩნენ – როცა ჯგუფი დავტოვე და სოლო კარიერა წამოვიწყე ზურგი არ შემაქციეს.

***– ამდენი ფანის ყოლა და ასეთი პოპულარობა შენთვის დამღლელი ხომ არ არის?***

– როცა ამდენ ადამიანს უყვარხარ ეს ძალიან კარგია და ფანები ჩემი სტიმულატორები არიან, მაგრამ, ხომ იცით, ზოგჯერ ფუფუნებაც დამღლელია, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე.

***– თაყვანისმცემლები საჩუქრებს ხშირად გჩუქნიან ხოლმე?***

– კი, მაგრამ საჩუქრებს არასდროს ვინახავ. საერთოდ, მე მიყვარს როცა თავად ვუკეთებ სხვებს საჩუქრებს, ეს უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებს.

***– შენს ვებ-საიტზე მოსულ ფანების შეკითხვებს პასუხს თავად სცემ ხოლმე?***

– ამისათვის, როგორც წესი,

დრო არ მაქვს, თუმცა როგორც კი მოვიცლი, ვცდილობ, რომ მათ თავად დავეკონტაქტო და თაყვანისმცემლები უფრო ახლოს გავიცნო.

როცა კონცერტებზე უილიამსის ფანები სკანდალებს აწყობენ, რობი მათ არასოდეს საყვედურობს – „მე მორალური უფლება არ მაქვს მათ შენიშვნები მივცე, რადგან ხშირად მათსავით, ან კიდევ უარესად, ვცდები და საშინელებებს ვაწყობ ხოლმე" – ამბობს მომღერალი.

დღეს თავის ფანებზე რობის გარდა ჰიტ „Something Stupid"-ში მისი პარტნიორი ნიკოლ კიდმანიც ისაუბრებს. ასე რომ, მოემზადეთ!

ნიკოლი: – „მე მსოფლიოში საუკეთესო თაყვანისმცემლები მყავს, ისინი ძალიან მიყვარან და ვიცი, რომ მათ გარეშე ვერაფერს მივაღწევდი.

ალბათ იცნობ, რომ ნიკოლი ეზომოდ [illegible] ... სამყაროში და შესაბამისად, მას წარმოუდგენლად ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს.

საინტერესოა ისიც, რომ მისი თაყვანისმცემლების გარკვეულ ნაწილს საშინლად არ მოსწონდათ ნიკოლის ექს ქმარი მსახიობი ტომ კრუზი. როცა ეს წყვილი ერთმანეთს დაშორდა ფანებმა რასაც ჰქვია გაიხარეს.

ნიკოლი ჰოლივუდში ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ და გემოვნებიან ქალად ითვლება და ამიტომაც მისი ფანები მას ვარცხნილობაში, ჩაცმის სტილში და მოკლედ, ყველაფერში ბაძავენ.

რობისგან განსხვავებით მას აბსოლუტურად ყველა ასაკის ფანი ჰყავს და ისინი სკანდალებს არასოდეს აწყობენ.

***– როგორ ფიქრობ, P.Diddy-სთან ჩაწერილი დუეტის წყალობით უმეტესწილად თინეიჯერ ფანებს გაახარებ?***

– არ ვიცი, შესაძლოა, ასეც მოხდეს, თუმცა ამ ეტაპზე დაზუსტებით არაფრის თქმა არ შეიძლება.

***– გამაღი ზიანებელი ფანები თუ გყავს?***

– აქამდე მათი არსებობა არ მიგრძვნია. ჩემი თაყვანისმცემლებისგან მხოლოდ სითბოსა და სიყვარულს ვიღებ და მეც ვცდილობ, მათ ჩემი საქმით ვასიამოვნო.

***– ისინი შენს პირად ცხოვრებაში ცხვირს არ ყოფენ?***

– ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ ახალი ამბები პრესაში იბეჭდება, მათ შესახებ ტელევიზიითაც საუბრობენ, ასე რომ, ფანებისათვის დამალული არაფერი რჩება და დამატებით ისინი ცხვირს არაფერში ყოფენ.

მოამზადა
თამთა მჭედლიშვილმა

ტოპპოდელი ... კასტა

ბოგეგა ნარდში

სპირინგი

ლიპტონის ...

ფინური ეპოსი

მამალი თხა

ბუნებრივი წყალსატევი

იაპონური ელექტრო ფირმა

გერმანული ფული

„დათა თუთაშხია“– პერსონ.

ქალაქი რაჭაში

კაჭკუსის არაყი

მფრინავი ანუ

უზრუნველი ცხოვრება

კუნძული ხმელთაშუა ზღვაში

დიპლომატიური რანგი



ინდიელთა ტომი

გერმანელი კომპოზიტორი

ტაილანდის სახელმწიფო ენა

ჩინური ორთაბრძოლა

მივმართავ ქალისადმი სანდინ.

ხაფანგი ანუ

ქალაქი იტალიაში

იაპონელი მწერალი

სასვენი ნიშანი

სოფელი აჭარაში

„სამი მუშკეტერი“ – პერსონ.

პოლონელი კინორეჟისორი

მეშვიდობის ფრინველი

ამერიკელი გამომგონებ.

ქალაქი ბელგიაში

კინოთეატრი თბილისში

სუსტი ნიავი

ჭაობის მცენარე

სასწავლო დანესებულება

იაპონიის მეკერატორის ტიტული

კოლგოური სპორტი

თვალის ფერადი გარსი

... აბაშიძე

ინგლისელი მწერალი

ისტორიული ქალაქი მცირე აზიაში

„რენოს“ აეტომობილი

ქალაქი რუსეთში

სამი ეუსპოსი

ფრანგი პოეტი

დე ეროუსანი

მდინარე რუსეთში

ქალაქი საქართველოში

დაბა აჭარაში

მდინარე იტალიაში

ტაბლეტი

დროებით გაბატონებული გამოთვლება

სპორტი: „რომ ...“

... კუზნეოვი

ფეხსაცმლის მალაზია თბილისში

... ტაილერი

ნადირთა ბუნ

ქვეყანა აფრიკაში

სუფრის უფროსი

ცეცხლის ენა

ღამის ლუნი: „... ნოა“

ტერიტორიული ერთეული

ქალაქი ნორვეგიაში

იოკო ...

კონცხი ყირიმში

საგკურანლო მცენარე

თევზის სახეობა

ქალაქი ინდოეთში

ვირტუოზი ფრინველი

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 **13** 14 15 16

**ფან-კლუბი # 11**

# ამავე ნომრის პასუხები

ლაბირინთი მე-10 გვ-ზე
მერსედესი

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
კონკურსი მე-11 გვ-ზე
1–D, 2–B, 3–C, 4–D, 5–A, 6–B.

ასოციაციობანა
ლექსი.

სკანვორდი მე-13 გვ-ზე

1-5 – ლეტიცია, 1-10 – ოინი, 2-11 – ტატუ, 2-13 – ჩაი, 3-5 – კალეფალა, 3-7 – ვაცი, 4-12 – ტბა, 5-8 – სანიო, 5-11 – მარკა, 5-12 - კიკუ, 6-1 – ონი, 6-3 – ტეკილა, 6-5 – პილოტი, 6-7 – იდილია, 6-9 - მალტა, 6-15 – ელჩი, 8-2 – სიუ, 8-9 – ბახი, 8-14 – ტაი, 10-1 – უშუ, 10-11 – ფრუ, 10-8 – მახე, 10-9 – რომი, 10-14 – აბე, 11-8 - მძიმე, 11-14 – ლაბრა, 12-2 – როშფორი, 12-2 – ვაიდა, 12-8 - მტრედი, 12-13 – მორზე, 13-14 – სიო, 13-6 – ისლი, 13-7 – სკოლა, 13-10 – ტენო, 12-16 – ლიეჟი, 13-2 – ამირანი, 13-11 – როდეო, 14-4 – ირისი, 14-11 – დოდო, 14-13 – რიდი, 15-6 – ნიკეა, 15-7 – კლიო, 16-3 – ორა, 16'-14 – ტრიო, 16-14 – გი, 16-15 – მორო, 17-9 – აი, 17-10 – ბათუმი, 17-16 – გონიო, 18'-2 – ადა, 18-2 – აბი, 18-8 - მოდა, 19-14 – როი, 20-1 – ივა, 20-4 – ბატა, 21-1 – ლივ, 21-4 – ლომი, 21-8 – ჩადი, 21-11 – თამადა, 21-16 – ალი, 22-6 – ნოა, 22-9 - რაიონი, 22-12 – ოსლო, 23-7 – ონი, 24-10 – აია, 24-12 – ალოე, 25-6 – მინტაა, 25-7 – აგრა, 25-10 – ასი.

სკანვორდი მე-14 გვ-ზე

1-10 – ასი, 2-4 – სელაპი, 2-5 – კი, 2-7 - ოსლო, 2-8 – ფასი, 2-10 – ფინიკი, 3-5 – ერბო, 3-16 – ბე, 4-8 – სორო, 4-10 – ბორი, 4-16 – მარდი, 5-1 – აქლემი, 5-8 – ოინი, 6-13 – თათქარიძე, 6-14 – ნამი, 6-15 – ყინული, 7-1 – დარია, 7'-5 – კაენი, 7-5 – არსი, 7-8 – ნო, 7-13 – სამბა, 8-15 – სი, 9-1 – ფაუნა, 9-4 – სანდო, 9-13 – თეა, 10-13 – ქარი, 10-15 – დუ, 11-1 – ბოში, 11-3 – დებოში, 11-10 – ნატა, 12-10 – ოქრო, 13'-7 – თოთო, 13-7 – თოხი, 14-10 – იქსი, 15-1 – ფაი, 15-7 – თიხა, 15-12 - იპოლიტე.

სკანვორდი მე-16 გვ-ზე

1'-10 – ანა, 1-10 – არფა, 2-5 – ისარი, 3-4 – პი, 3-9 - ორმო, 4-4 – მარო, 4-10 – აფრა, 4-12 – ჯაფა, 5-3 - ბემბი, 5-8 – ქარვა, 6-7 – ხანა, 6-8 – ნინო, 6-14 – "მეგა", 6-16 – ომი, 8-9 – მალა, 9'-6 – ჯაგერი, 9-6 – კოლიო, 9-13 – საკი, 9'-15 – კაა, 9-15 – ქისა, 9-16 – ქათამი, 10-2 – ოდა, 10-3 – ლემი, 10-11 – ფარონი, 10-12 – ხოტა, 11-5 – სიო, 11-15 – ხაბაბი, 12-9 – ტილი, 12'-15 – არა, 12-15 – რომ, 13-1 – და, 13-7 – ტირანა, 13-9 – ძელი, 14-2 – ქვა, 15-9 – ია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანეკდოტები

ნარკომანი ძმაკაცს ეძახის:
- ეეე, ვასკაააა!...
გამოიხედავს დედამისი.
– ქალბატონო, ვასკა სახლშია?
– არა.
– ვაიმე, კარგად მოძებნე, რა.

* * *

**პარკში კაცი და ძაღლი პოკერს თამაშობენ.**
**– რა ჭკვიანი ძაღლი გყავთ!**
**– აღფრთოვანებას ვერ მალავს გამვლელი.**
**– არც ისე, – პასუხობს კაცი, როცა კარგი კარტი მოდის, კუდს აქიცინებს ხოლმე.**

* * *

ოსი ექიმთან მივიდა.
– რა განუხებს? – ეკითხება ექიმი. – ხომ არაფერი გექავება?
– ალა.
– მაგრამ ეს ალა 20 ლარი გადამიხადე.
– მექავება, – განაცხადა ოსმა.
– რა? გამოცოცხლდა ოცლარმომატებაში დაიმედებული ექიმი.
– მუსტები... (მუშტები).

* * *

**– სიდედრი, ნეტავ სადაური წარმოშობის სიტყვაა? – ეკითხებიან ჭიჭიკოს.**
**– ბერძნული, სიმონ... ქართულად კიბოს ნიშნავს.**

* * *

სვანმა ყავაში ჩახედვა მოისურვა და მკითხავს სავსე ჭიქა გაუწოდა.
– არა, ჯერ დალიე და მერე ჩავიხედავო, – უთხრეს.
სვანმა ერთ ყლუპად გადაჰკრა ყავა, ჭიქა გვერდზე გადადო და მკითხავს პირი გაუღო, – აჰა, მიმკითხავეო.

# სკანვორდი

ზღვის ცხოველი
თანხმოვა
ქალაქი სანდიანიაზე
ფასი, ლარგულება
ერთ-ერთი რიცხვი
ინდის ხარვა
ერთგვარი ცხვილი
ნინასნარ აღებული თანხა
თავის სახლი
ქიმიური ელემენტი
სნარეული. ბეთრალი
უდაბნოს ცხოველი
ფანდი
ლუარსაბის გვარი
ცვარი
გაუინული ნაული
სარეცხი ფხვნილი
აღვამის შვილი
ნაზი კოცნა
ინგლისური თეატრი
ერთგვარი ცვალა
ვინაკარსი
ფუს.ნოტი
ცხოველთა საფარი
რქის ნანარმის ფირმა
გვასალიას სახელი
ნიავი
ორი ნერტილი ალფაბეტზე
მოგზაურობის ფირმა
აკალმაული
... ბალლოგელი
ფერადი ლიმონი
ჩვენი ბავშვი
საფეხურ-ნელ ისარი
ცვლადის აღმნიშვნელი ასო
აბრეშუმის გასრული ქსოვილი
ქოთნების დასაფარებელი მასალა
ქართველი ფასიანი (ხუთიანი)

# ფარნავაზ ბერიძე




ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲚᲘᲗᲘᲡᲯᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲤᲐᲜ-ᲙᲚᲣᲑᲘ" ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲗ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲡ —

## ᲜᲔᲙᲐ ᲡᲔᲑᲘᲡᲙᲕᲔᲠᲐᲫᲔᲡ

ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲨᲔᲐᲒᲠᲝᲕᲝᲗ ᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲨᲔᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲡ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲡ 001, 002 ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲤᲐᲜ-ᲙᲚᲣᲑᲘᲡ" ᲛᲔ-12 ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲩᲣᲥᲠᲓᲔᲑᲐ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲘᲒᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲜᲔᲙᲐᲡ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ "ᲜᲔᲝᲨᲘ".

001 "ᲤᲐᲜ-ᲙᲚᲣᲑᲘ" №11, 2003

## ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲡᲣᲠᲗ ᲓᲐᲣᲡᲕᲐᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ, ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲜᲝᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲤᲐᲜ-ᲙᲚᲣᲑᲘᲡ" ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲨᲐᲑᲐᲗ-ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ 15-ᲓᲐᲜ 16 ᲡᲗ-ᲛᲓᲔ. ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ: ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ 14, ᲛᲔ-2 ᲡᲐᲠᲗ., ᲒᲐᲖᲔᲗᲘ "ᲤᲐᲜ-ᲙᲚᲣᲑᲘ"

## ᲐᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐᲜᲘ





ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲜᲝᲑᲗ ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲜᲘ ᲐᲛ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲖᲔ, ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 17 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ. ᲢᲔᲚ: 98-95-79